ცნობის ფურცელი

№ 2456 კვირა, 4 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2456

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ...ნქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნინო ბექთაბეგოვისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები გარდაცვალებულისა **კნეინა ელისაბედ ზაალის ასული და თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთავნი შვილებითურთ.** პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშუადღევის 1 და საღამოს 7 საათზე; გამოსვენება კვირას, 4 აპრილს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან, იზმაილოვის ქუჩა, № 5, წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიაში, ვერაზე.

(3—122—3)

3 აპრილს უეცრად გარდაიცვალა პრაპორშჩიკი მილიციისა

პავლე გიორგის ძე ივანოვი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ეკატერინე ბესარიონის ასული დ შვილები: გიორგი, მართა, სოფიო და ნინო პავლეს ძე და ასულნი. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. ჭავჭავაძის ქუჩა, საკუთარი სახლი № 33. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“

აცხადებს, რომ მარტის 15-დან ღვინო ისყიდება

ბოთლი 20 კაპ., 25 კაპ., 30 კაპ. და მეტად.

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშოვის ქარვასლა. განყოფილება: მიხაილოვ...ი პრ. სლივიცკის სახლში № 81. იყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „**კოლხიდა**“-ს საწყობში და მის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „კახეთის“ ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ ...ის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმგზავსებული იარლიკები.

(11—6.—10)

ქართული თეატრი.

...ვირას, 4 აპრილს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ არტისტთა დასის მიერ ქ-ნ **ნ. ჩხეიძის**, ბ-ნ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის**, **კ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქ. და 7 სურათად თავ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, დავითაშვილი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ...ივანიძე, იმედაშვილი, ბაქრაძე, საფაროვი, სარჯველაძე, იორდანიშვილი, მატარაძე, გვარაძე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8$^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(2—6.—3) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის

გრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი.** ვიღებთ შემოკვეთილებას მომავალ წლებისთვის, 15 აპრილამდის.

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—41—10)

ძმ. ნიკიტინების ცირკში



კვირას, 4 აპრილს, დიდი წარმოდგენა სამ განყოფილებად. სხვათა შორის სამი ჭიდაობა ერთ საღამოს: 1, კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის **ძიზიყელისა** და ცნობილ ფალავნის **ცერაძის** შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. მეორე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის **სოსო ნორიელსა** და ფალავნის ახალაშვილს შორის. პრემია ვერცხლის საათი. მესამე ჭიდაობა ცნობილ ვარშაველ ფალავნის **ხორვატსა** და შმადკოვს შორის. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8$^1/_2$ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

კავკასიელ ტიპების ფერად წამლებით

ხატვას ვასწავლი.



...ეში—20 მ. სეანსი 2 საათ.—4 საათ. 1 მ. ...მოსწავლეთ $^1/_2$

...ჩუღურეთი. გონჩარნი ქუჩა სახლი № 28.

(10—10) მოსე თოიძე

ვყიდულობ

კარგ ფასად ძველად დარჩენილ ნივთებს: ...ისა, ვერცხლისა, სევადის მინიატიურებს, ...ს დასევადებელ სათუთუნეებს, სპილოს ...ს ძველ ნივთებს, წიგნებს მხოლოდ ...ზე ნაწერს მინიატიურებით და სხვას.

...ტფილისი, კათოლიკეთა ქუჩის კუთხე, მაღაზია და სახელოსნო ზ. ი. აიზენდერისა.

(2—130—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ...წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—5.—5)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123.

(თვ.—0—3(8

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი

პეტერბურგი. შავის ზღვის ფლოტისა და ნავთ-სადგურის მთავარი უფროსი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი დაინიშნა დიდის ოკეანეს ფლოტის უფროსად.

პარიზი (საკუთ. კორესპ.). მონტებელო და მთელი საფრანგეთი გულწრფელად თანაუგრძნობენ რუსეთს. მონტებელო დარწმუნებულია, რომ რუსეთი გაიმარჯვებს. იმის აზრით, ომი ზამთრამდე გათავდება, ამასთან იმედი აქვს, რომ საქმეში სხვანი არ ჩაერევიან, საქმე შეიძლება უფრო ზავის ხელის მოწერის დროს გამწვავდესო. ფრანგები რომ თანაუგრძნობენ რუსებს, სჩანს იქიდან, რომ 8 დღეში გაიყიდა 200,000 ბილეთი იმ ტომბოლისა, რომელიც მარკიზა მონტებელომ გამართა რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ. მაკაროვის სიკვდილმა თითქმის არავითარი გავლენა არ იქონია აქაურს ბირჟაზე. მინისტრმა რუვიემ ზომები მიიღო, რომ ქაღალდების ფასებს ბირჟაზე არ დაეწიათ.

პარიზი. 1 აპრილს გაიმართა საგანგებო წარმოდგენა დიდის მთავრის მეუღლის მარიამ პავლეს ასულის საავადმყოფო მატარებლის სასარგებლოდ. საღამო გამართა სარა ბერნარმა და რაულ გინცბურგმა იმ სამუსიკო საზოგადოების მფარველობით, რომელსაც თავმჯდომარეობს გრაფინია გრეფფიული.

პარიზი. აქაურს რუსულს ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ადმირალ მაკაროვის სულის მოსახსენებლად.

ვარშავა. დღეს საკათედრო ტაძარში დიდძალის ხალხისა და გენერალ-გუბერნატორის ჩერტკოვის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი მაკაროვისა და სხვა დაღუპულ ზღვაოსანთა სულის მოსახსენებლად.

ტულონი. რესპუბლიკანელთა კრებამ დაადგინა, თანაგრძნობა განუცხადოს რუსის ხალხს „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვის გამო.

პარიზი. გემ „პეტროპავლოვსკ-“ზე მომხდარმა საზარელმა ამბავმა, ადმირალ მაკაროვისა და მეზღვაურების დაღუპვამ მთელი საფრანგეთი დაალონა. ფრანგული პრესა პარტიების განურჩევლად თანაგრძნობის წერილებს უძღვნის და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს რუსეთს. მინისტრებმა და პარიზის საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსეთის ელჩს ნელიდოვს თანაგრძნობა გამოუცხადეს. დღეს ნელიდოვის თაოსნობით რუსეთის საელჩოს ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს დიდებულ ადმირალ მაკაროვისა და „პეტროპავლოვსკის“ გემის მეზღვაურთა სულის მოსახსენებლად. ამას გარდა პარაკლისიც გადაიხადეს დიდის მთავრის კირილე ვლადიმირის ძისა და სხვა მეზღვაურების სასწაულებრივ გადარჩენისა გამო. ელჩისა, იმის მეუღლისა და საელჩოს წევრების გარდა, პანაშვიდს და პარაკლისს დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი გენერალი პენდეზეკი, საზღვაო და გარეშე საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელნი და მრავალი პარიზში მცხოვრები რუსი.

პეტერბურგი. ლიაოიანიდან 2 აპრილს მის უმაღლესობის დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის სახელობაზე გამოგზავნილ დეპეშის კოპიო: „ეს არის ეხლა დიდს მთავარს კირილე ვლადიმირის ძეს წარვუდეგ და დიდხანს ვესაუბრე. ღვთის განგებით გადარჩენილი თქვენი შვილი სწრაფად რჩება. რამდენსამე ადგილას ტანი აქვს მოშუვარი, მაგრამ ერთ კვირაში მოურჩება. თან-და-თან უფრო კარგ გუნებაზე დგება. ფეხებიც დაჰშავებოდა, მაგრამ მე მდგომელი მელაპარაკა და სხვისა დაუხმარებლივ მოძრაობდა. რამდენისამე დღის შემდეგ ესეც გაუვლის. კუროპატკინი.“

პეტერბურგი. სია იმ აფიცერთა, რომელნიც ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკ“-ზე იყვნენ: დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი სტეპან ოსიპის ძე მაკაროვი—დაიღუპა; შტაბის უფროსი კონტრ-ადმირალი მიხეილ პავლეს-ძე მოლასი—დაიღუპა; სამხედრო-საზღვაო განყოფილების უფროსი ფლიგელ-ადიუტანტი მეორე რანგის კაპიტანი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე—გადარჩა; სამხედრო განყოფილების უფროსი მთავარ შტაბის პოლკოვნიკი აგაპიევი—დაიღუპა; მეორე რანგის კაპიტანი მიხეილ ვასილიევი მეორე—დაიღუპა; ლეიტენანტი ნიკოლოზ ფონ-კობე—დაიღუპა; მიჩმანი ვლად. შპიდტი—დაიღუპა; მიჩმანი პავლე ბურაჩეკი—დაიღუპა; კაპიტანი მეორე რანგისა კონსტანტინე ფონ-შულცი—დაიღუპა; კაპიტანი მე-2 რანგისა ანდრია მიაკიშევი—დაიღუპა; პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე კორობიცინი—დაიღუპა; საქმის მწარმოებელი კონსტანტინე ლადანოვი—დაიღუპა. გემის უფროსი 1 რანგის კაპიტანი იაკოვლევი—გადარჩა; უფროსი აფიცერი ლეიტენანტი ალექსანდრე ლადიგინი—დაიღუპა; მიჩმანი ბარონი ნიკოლოზ ფონ-კლებეკი—დაიღუპა; მიჩმანი ალექსეი ოკუნევი—დაიღუპა; რევიზორი მიჩმანი პეტრე აკიმოვი მეხუთე—დაიღუპა; ლეიტენანტი კონსტანტინე უნკოვსკი—გადარჩა; ლეიტენანტი ნიკოლოზ იენიში მეორე—გადარჩა; ლეიტენანტი ლიუბიმ კნორინგი პირველი—დაიღუპა; შტურმანი ვლადიმირ ვულფი—დაიღუპა; მიჩმანი ნიკოლოზ შლიპპე—გადარჩა; მიჩმანი პეტრე ლეპეშკინი—დაიღუპა; ინჟენერ-მექანიკოსი ანტონ პერკოვსკი მეორე—დაიღუპა; ინჟენერ-მექანიკოსის თანაშემწე გენრიხ სეიპელი—დაიღუპა; მექანიკოსი დიმიტრი სმირნოვი—დაიღუპა; კომისარი ალექსანდრე

ეროვნული

შმიდტი—დაიღუპა; უფროსი ექიმი ანდრია ვოლკოვიჩი—დაიღუპა; უმცროსი ექიმი ივანე კოსტრომიტინოვი—დაიღუპა; ბერ-მონაზონი ალექსეი—დაიღუპა; მე-2 რანგის კაპიტანი კროუნი—დაიღუპა; მხატვარი ვერეშჩაგინი—დაიღუპა; მიჩმანი შიშკოვი—დაიღუპა; მიჩმანი ბოდისკო—დაიღუპა.

ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 2 აპრილს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 2 აპრილს, დილის 9 საათისა და 15 წუთიდან შუადღემდე იაპონელთა 14 სამხედრო გემი პორტ-არტურს ესროდა ყუმბარებს ლიაოტეშანიდან. მტერმა 185 ყუმბარა გაისროლა. ჩვენც პასუხი გავეცით და ყუმბარები დავუშინეთ; ვესროდით გემებიდან, მათ შორის გემ „პობედა“ სა და სიმაგრეებიდან. ნაპირზე დაგვიჭრეს 5 ჯარის-კაცი, გემებზე არავინ მოუკლავთ, არც დაუჭრიათ. გემები არ დაზიანებულან. ნაპირზე იაპონელებმა მოჰკლეს 7 ჩინელი, დასჭრეს—3“.

ოფიციალურად მიღებულ ცნობების თანახმად ჰფიქრობენ, რომ ბრძოლაში დაიღუპა ნაღმიანი გემი „სტრაშნი“ და არა „ბეზსტრაშნი“, როგორც პირველ დეპეშით იტყობინებოდნენ. „სტრაშნი“-ზე დაიღუპნენ: გემის უფროსი კაპიტანი იურასოვი, ლეიტენანტი მალეევი, მიჩმანი აკიმფიევი უმცროსი და ინჟენერ-მექანიკოსი „პავლე დიმიტრიევი.

მუკდენი. იტყობინებიან, რომ 1-ლ აპრილს, შუადღისას, ნამესტნიკი გენ.-ად. ალექსეევი მუკდენიდან პორტ-არტურს გაემგზავრა.

პარიზი. როდესაც პრეზიდენტმა ლუბემ გაიგო „პეტროპავლოვსკი“-ს საშინელი დაღუპვა, ხელმწიფე იმპერატორს დეპეშით გამოუცხადა საფრანგეთის მწუხარება. თავის მხრივ დელკასემაც გამოუცხადა სამძიმარი რუსეთის ელჩს ნელიდოვს.

ჩიფუ. გაზეთი „დეილი ექსპრესს“ იტყობინება, რომ ტოგომ უკან დაიწია; აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ბრძოლაში იაპონელთაც მოუვიდათ ზარალიო.

სეული („რეიტერის სააგენტო“). ჩინეთის კრეისერების ესკადრის უფროსი კომნოდორი წა იტყობინება, რომ 1-ლ აპრილს პორტ-არტურთან მთელი დღე ზარბაზნების სროლა იყოო.

ტიანძინი („რეიტ. სააგ.“). როგორც აქ მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, კორეიაში მყოფ იაპონიის ჯარის-კაცთა შორის ვრცელდება რაღაც სენი, რომელიც ძალიან ჰგავს ბერიბერის. ამ სენით ავადმყოფს ძილი მოსდის, ფეხები უდუნდება და სუნთქვა უძნელდება.

ცეტინიე. „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვისა და ადმირალის მაკაროვის სიკვდილის გამო მემკვიდრე პრინცმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა სამძიმარი გამოუცხადეს რუსეთის სადიპლომატო წარმომადგენელს.

მოსკოვი. გრაფმა გუდოვიჩმა თავად-აზნაურთა სასანიტარო რაზმისთვის შესწირა 45,000 მანეთი.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

3 აპრილი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე: „დილას იაპონიის ფლოტმა, რომელიც 14 გემისაგან შესდგებოდა, ლიაოტეშანიდან ზარბაზნები დაუშინა ჩვენს ციხეს. ჩვენმა ესკადრამ და ბატარეებმაც ზარბაზნების სროლითვე უპასუხეს. 5 ჯარის-კაცი დაიჭრა. გემებზე ზარალი არ მოსვლიათ და არც უბედურება შემთხვევია ვისმე.“

ბერლინი. არა სჯერათ ადმირალ ურიუსა და „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის ცნობა, ვითომ „პეტროპავლოვსკ“-ი დაიღუპა იაპონიის ნაღმიან გემებთან ბრძოლაში. ამბობენ, ეს ცნობა ეწინააღმდეგება იაპონიის ოფიციალურ ცნობებს, რომელთა თანახმადაც ბრძოლაში მხოლოდ ერთი იაპონელი დაიჭრა. ეს კი შეუძლებელია ასეთ ბრძოლის დროს.“

დიდ-ოკეანეს ესკადრის უფროსად ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის დანიშვნამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვენა. იაპონიის ელჩი უარს-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ჩინეთის ჯარში იაპონელი აფიცრები იყვნენ.

ტოკიო. „ცენტრალ-ნიუს“-ის ცნობების თანახმად, ჰფიქრობენ, რომ რუსეთს მანჯურიაში 200,000 ჯარის-კაცი ეყოლებაო. მთავარი სადგური რუსეთის ჯარისათვის ლიაოიანიაო. რუსები ყოველგვარ ძალას ხმარობენ, რომ იაპონელები იალუზე არ გადაუშვან. ყველა გაზეთი სწუხს ვიცე-ადმირალის მაკაროვის დაღუპვისა გამო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. 31 მარტს დაღუპული გემი „პეტრეპავლოვსკი“ საესკადრო ჯავშნიანი გემი იყო, წყალ-წყვა—10,500 ტონა ჰქონდა, სიჩქარე—საათში 26 ვერსტს გადიოდა, ჯავშანი 5—10 დიუმის სისქე ჰქონდა, 60-მდე ზარბაზნით იყო შეიარაღებული. გემზე 31-მდე აფიცერი და 600 უბრალო მეზღვაური მსახურებდა. „პეტროპავლოვსკი“ რვა მილიონამდე იყო დამჯდარი.

მეორე დაზიანებული გემი „პობედა“-ც 1 რანგის საესკადრო ჯავშნიანი გემია.

გუშინდელ დეპეშაში ჯავშნიან გემებთან მოხსენებული გემი „გაიდამაკი“ პატარა სანაღმე კრეისერია („რ. ს.“).

ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკის“ უფროსსა და აფიცრებს აღდგომის პირველ დღეს, 28 მარტს, პორტ-არტურიდან თავიანთ ნათესავებისა და ნაცნობებისათვის დეპეშით ბედნიერი დღე მოულოციათ („რ. ვედ.“).

„დეილი ნიუს“-ი იუწყება, ვითომ ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსი 1 რანგის კაპიტანი რეიცენშტეინი ამ ჟამად პორტ-არტურში იყოს და ნაღმიან გემების დივიზიის უფროსად დაენიშნოთ (რ. ლ.“).

„დეილი ტელეგრაფ“ ი იუწყება: რუსებმა რომ პინიანიდან ჰდინარე იალუსაკენ დაიხიეს, გზა და გზა ტელეგრაფის ბოძები წააქციესო. იაპონელებმა ხელ-ახლად დადგეს ბოძები და ტელეგრაფი გამართეს.

კორეის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთს მოხელესა და ერთს კორეელ პოლკოვნიკს რუსებთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული. იაპონიის ელჩმა სეულში მოსთხოვა კორეის მთავრობას, ეგ მოხელე და პოლკოვნიკი უსათუოდ დასაჯეთო („რ.ლ“.).

„მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: ნიუჩუანიდან დიდძალი ჩინელი მოდის ჩიფუში.

შანჰაიდან იუწყებიან: ბრინჯს ფასი აკლდება. იაპონიაშიაც თანდათან იაფდება ბრინჯი, რადგან იმედი აქვთ, რომ მაისში დიდ-ძალ ბრინჯს მოიტანენ ჩინეთიდანაო.

„მორნინგ ლიდერ“-ის თანამშრომელს იაპონიიდან მომავალი სამი რუსის მეზღვაური უნახავს. რუსებს უთქვამთ: იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოება მეტად კარგად გვექცეოდა და გვივლიდაო („რ. ვ.“).

„ტაიმს“-ი იუწყება: ამერიკული გაზეთები სწერენ, ეხლა დროა, ვინმემ რუსეთსა და იაპონიას შუამავლობა გაუწიოს და მოარიგოსო. ამ მძიმე საქმეს ყველაზე კარგად ინგლისის მეფე ედუარდ მე-VII შეასრულებსო. ედუარდ მე-VII-ემ ეს დიდი საქმე რომ თავს იდოს, იმედია, სხვა სახელმწიფოებიც მხარ დაუჭერენ და თითონ რუსეთი და იაპონიაც მადლობელნი დაურჩებიან მეფესაო. („რ.ლ.“).

ადმირალი ტოგო. უცხოეთის გაზეთებშ შემდეგი საინტერესო ცნობებია დაბეჭდილ იაპონიის მებრძოლ ფლოტის უფროსზ „ადმირალი ტოგო დაბალი ტანისაა, გამხდარი, თითქმის გალეული კაცია, მაგრამ იმისი მაღალი და ფართო შუბლი, მახვილი, დინჯი სახე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ხშირი წვერ-ულვაშითა და მრგვალის თვალებით ადმირალი უფრო ევროპიელს ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ იაპონელს. ტოგო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის განთქმულ მოგზაურებს, მაგალითად, ვასკო-დე-გამას მოგაგონებთ. ამ მოგზაურებივით ადმირალი ტოგოც მუდამ დაფიქრებულია, იმისი გონება დაუღალავად მუშაობს, მუდამ დიდებულ საზღვაო საქმეებზე ჰფიქრობს და დიდ პლანებს აწყობს.

ტოგომ პირველად ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, 1894 წელს, ისახელა თავი. კაპიტა ტოგოს (იმ დროს კაპიტანი იყო) დაავალე ვეიხაივეის ალყა შემოარტყიო. იაპონელებ ამნაირი პლანი ჰქონდათ შედგენილი: ვეიხაივეის ახლო ჯარი უნდა გადაეყვანათ, ტოგოსაც თავის გემებით ამ ჯარისათვის დახმარება უნდა გაეწია. გამჭრიახმა, მამაცმა, თითქმის თავზე ხელ-აღებულმა კაპიტანმა ისეთი საქმე გაბედა, რომ მთელი იაპონია გააკვირვა. ტოგოს, სხვათა შორის, ორი სწრაფლ-მავალი გემიც ებარა: „შოკიო“ და „ატაგო“. ბნელა ღამეს ამ გემებით ტოგო ვეიხაივეის რეიდში შეიპარა, იქ თავშეფარებულ ჩინელების ფლოტს ყუმბარა დაუშინა და ისე გამოიპარა, რომ ჩინელებმა ვერც-კი შენიშნეს. ჩინელებმა იფიქრეს, ალბად, მთელი იაპონიის ესკადრა დაგვეცაო. მას აქეთ ტოგო ძლიერ შეუყვარდა იაპონიის ხალხს.

ომის შემდეგ ტოგო ჯერ იაპონიის უმთავრეს სამხედრო ნავთ-სადგურ სასე საზღვაო პრეფექტად დანიშნეს და მე საზღვაო შტაბის უფროსად. 1895 წ ტოგომ ადმირალ იტოსთან ერთად იაპონიის ფლოტის რეორგანიზაციის პლანი შეადგინა, მას აქეთ ახალ ჯავშნიან გემებისა და კრეისერების აშენებას ხელმძღვანელობას უწევ-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

ძველი ამბები.—სოფელი წინად და ახლა.—ინტელიგენცია და ხალხი.

„პატარა ამბები... კვლავ პატარა ამბები! ეხლაც პატარა ამბები! მიუხედავად შორეულის აღმოსავლეთის ყუმბარებისა, მაინც პატარა ამბები“?

სწყრება გაჯავრებული მკითხველი თავისებურად, წინანდებურად. სწადია სხვა, ახალი ამბები, ყური არ უნდა დაუგდოს ჩემს ამბებს. რატომ? ნუ თუ მართლა ასე უნდა ავუხირდეთ ძველს ამბებს, ხელი ავილოთ მათზე?

არის ბევრი ამბავი, ძველია, მაგრამ...—ძველი არ არის, მაგალითად, რომ თევზი უწყლოდ ვერ იცოცხლებს, ადამიანი უჰაეროდ, თავისუფალი ცხოვრება კარგია, ბატონყმობა და მონობა ცუდი? რომ განვითარება თვით მოქმედებაა, ძალ-დატანება და ოპეკა-კი—გონების დასახიჩრება და ბუნების უარყოფა? რომ ადამიანის სინიდისის შებორკვა შეუძლებელია, ერთი ადამიანი მეორე ადამიანის სწორია, რომ არც ერთ ერს არ ეკუთვნის განსაკუთრებულობა და უპირატესობა ბედნიერების, კეთილდღეობის თვით-მოქმედებისა, თვით არსებობის წინაშე? რომ თუ ერთი იგრძნობს შევიწროებას, ტკივილს, სიმშილს, მეორეს სული და ხორციც ჰგრძნობს ყველაფერს ამას? რომ თუ ერთისათვის ცეცხლი,—ცეცხლია, წყალი—წყალი, მეორესთვის არ იქნება ცეცხლი-წყალი და წყალი—ცეცხლი? რომ თუ ერთი დედა იტირებს საყვარელი შვილის დაკარგვას, მეორეც არ იცინებს შვილის სიკვდილის დროს? რომ თუ ერთს დასჩაგრავენ, შეურაცხყოფენ, სულს შეუხუთავენ, და მისთვის ეს უბედურობაა, არც მეორესთვის [illegible] ბედნიერებაა? რომ შეუძლებელია მეტი საზიზღრობა, როდესაც ვინმე თავის პირად დაწინაურებისათვის მოძმეს გაჰყიდის, ჯაშუშობს, თავისი ერის დაცემას ცდილობს?..

ძველი ამბავი არ არის, მაგალითად, რომ იესო ქრისტე ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთათვის მოვიდა ქვეყნად და დღეს კი წინააღმდეგს გვეუბნებიან? რომ იესოს მოციქულნი მისთვის იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ, დღევანდელნი მისი ცრუ-მოციქულნი მასსვე ტანჯავენ და აწამებენ? რომ თუ ნივთი საკუთრებაა, რისთვის არ უნდა იყოს ადამიანის საკუთრება მისი სისხლი და ხორცი, მისი პიროვნება, მისი თავისუფლება? რომ არ გვინდა წავართვათ მას ქონება-ნივთი, მაგრამ გვინდა წავართვათ სული? რომ ავაზაკობად მიგვაჩნია მოვპაროთ ადამიანს შაურის საღირალი რამ ნივთი, მაგრამ კანონიერად მიგვაჩნია ჰატყუარობით დავიმონოთ მთელი მისი არსება?.. ძველი ამბავი არ არის, რომ ქართველებს ოდესღაც ადამიანებს გვეძახდნენ, დღეს-კი იმისიც გვეშინია, რომ ჩვენს გულში გავიტაროთ ადამიანის სახელი? რომ წინად გვიყვარდა სიცოცხლე, დღეს-კი გვაშინებს სულის თქმა? რომ ვიცოდით ღრმად სიყვარული, სიძულვილი, ტანჯვა, ვიცოდით თავის განწირვა, დღეს-კი ვერც წარმოვიდგენთ, თუ რა არის სიყვარული, თავის განწირვა? რომ ოდესღაც ვაფასებდით პატიოსნებას, პატივსა ვცემდით ღირსებას, დღეს კი ერთიც და მეორეც დანაშაულობაა ჩვენთვის? რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ვამბობდით წინად, ეხლა კი არ ვიცით, რა არის სახელოვანი სიკვდილი? რომ წინად ვლაპარაკობდით, ენა ჩვენი იყო—ენა ჩვენი, ეხლა კი ფიქრისაც გვეშინიან, ფიქრისაც?..

ძველი ამბავი არის ყველაფერი ეს, მაგრამ არ ვილაპარაკოთ, არ ვიყვიროთ გასუწყვეტლივ მათ შესახებ? არა, განმეორება-კი არა, განმეათასება არა კმარა! ერთი რეცენზენტი თავის-თავს დასცინოდა ამ დღეებში, როდესაც სწერდა: იბსენის „მოჩვენებანი“ სრულიად მეტი პიესაა, რადგან ვინ არ იცის დღეს მემკვიდრეობის კანონიო! კმარა, რომ სხვები დაგვცინიან, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ დავცინებთ ჩვენს თავს. ნუ დავივიწყებთ ხშირად განვიმეოროთ ძველი ამბები, ვიდრე ისინი ჩვენთან არიან!..

* *

ხშირად შევეხებივარ ჩემს ფელეტონებში ჩვენს საზოგადოებრივს დაუდევრობას, ლაჩრობას, ზნეობის და თავმოყვარეობის დაკარგვას, შევეხებივარ ისეთს მოვლენებს, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ ჩვენის ეროვნულის თვითშეგნების წინააღმდეგ და არაფერს ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ პესსიმისტურად შევყურებდე საზოგადოდ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს მომავალს. ჩემის ღრმა რწმენით, ადამიანური მომავალი ცხოვრება ჩვენთვის იმგვარივე შეურყეველი კანონია, როგორც რომელიმე კანონი ბუნებისა, როგორც დედა-მიწის ტრიალი მზის გარშემო, ცეცხლის და წყლის ერთმანეთის შეუთვისებლობა, მიზეზის აუცილებლობა ყოველისავე მოვლენისათვის. ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, ასეთი ადამიანური ცხოვრება—ჩვენი უფლებაა, როგორც უფლება იგი ყოველის ადამიანისა...

ამ უქმეებზე შემთხვევა მქონდა, სოფელში, იმერეთისაკენ გავსეირნებულიყავი. უნებურად იზიდავს დღეს ადამიანის ყურადღებას იმერეთის სოფელი. საკვირველია დღევანდელი მისი გონებრივი გამოფხიზლება. სოფელში დაბადებული და გაზრდილი ვარ, არასოდეს არ შემიწყვეტია სოფელთან კავშირი და წინადაც ვხედავდი, როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა იმერეთი სხვა-და-სხვა ხელშემწყობის პირობების დახმარებით, მაგრამ შეუძლებელია არ გამკვირვებოდა ჩვენებური სოფლის გადასხვაფერება ბოლო წლებში. გლეხები იგებენ თავის მდგომარეობას და ამასთანავე ებადებათ იმედი მისის გაუკეთესებისა და გაუმჯობესებისა. წინად სოფლელს ფიქრადაც არ მოსდიოდა თავში, თუ შესაძლებელი იყო სხვაგვარი მდგომარეობა. წინად მისი თავი ნაკლებად ჰფიქრობდა, სუსტად მსჯელობდა, დღეს-კი მან კრიტიკულად დაუწყო საგნებს ყურება. დღეს იგი ეკითხება თავის თავს: რა არის თვითონ, რას აკეთებს და რისთვის, რა არის ერი, ბერი, მღვდელი, ესა თუ ის დაწესებულება? წინად თუ თავის სოფლის იქით არაფერს არ ხედავდა, ეხლა შორ იხედება, უცხოეთის ამბებიც-კი უნდა გ გოს. წინად თუ თავისი თავი ადამიანად მიაჩნდა იმდენად, რამდენად ადამიანობას უწყალობებდნენ სხვები, ეხლა ადამიანობა მიაჩნია თავის ბუნებრივ თვისებად, რომელი დამოუკიდებელი უნდა იქმნეს ყველასაგან. წინად თუ სოფლელს მხოლოდ სხვისი წყალობის იმედი ჰქონდა და რადგან ეს წყალობა ძლიერ იშვიათი იყო მისთვის, და იგი ნამდვილად უიმედო იყო, ეხლა მას თან და თან ეძლევა იმედი საკუთარის თავისა. სოფელმა დაიწყო სამართალზე ფიქრი და ლაპარაკი...

ეხლა დიდი ომია შორეულ-აღმოსავლეთში და სოფელსაც აინტერესებს ამის ამბები: რა მოხდება, რა მოჰყვება ამ ომსაო? რამდენსამე დღეს ვიყავი სოფელში და ისე არავინ მოსულა ჩემთან, არაფერზე დაუწყია ს უბარი, რომ მალე ომის ამბავზე არ გად სულიყო და არ მოეცა ჩემთვის ესა თუ ის კით ხვა. რასაკვირველია, პირველი კითხვა ის ვინ არის ეს იაპონია—ხალხიაო? საით ურჯულოა, თუ ქრისტიანიო? სრულებ არ ეუცხოვათ, რომ ვუთხარი: თუმცა ქრისტიანები არ არიან, მაგრამ სინიდის რი, პატიოსანი, განათლებული, მშრომელ ხალხია იაპონელები-მეთქი. უფრო ის გაა რომ იაპონიაში ძლიერ განვითარებულ სწავლა-განათლება. მეკითხებოდნენ ჩინეთ

ა და იაპონიის ფლოტს დიდის ბეჯითო-მით სამრად ამზადებდა. ომის დაწყების ნ ტოგო მებრძოლ ფლოტის უფროსად აინიშნა („ბ. ვ.")

რუსის აფიცრის წერილები. გაზ. „რუს"-ა დაბეჭდილია ერთის რუსის მეზღვაურ აფიცრის კერძო წერილები. ეს აფიცერი ორტ-არტურის ესკადრაში ჯავშნიან გემ „რეტვიზანზე" მსახურობს და ყველა ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია. აფიცერი სხვათა შორის სწერს: „28 იანვარი. მოკლედა წერ, რადგან ისე დავიღალე, რომ ჩემ დღეში ასე არ დავღლილვარ. 26 იანვარ ღამეს გემზე დარაჯად ვიდგ. უცებ დავინახე, „პოლ ადამ" სიგნალი მოგვცა, ნაღმიანი გემები დაგვეცნენო. პროჟეკტორის სინათლეზე მეც დავინახე ორი ნაღმიანი გემი, მაგრამ ჩვენები მეგონა. 10 წამი არ გავიდა, რომ რაღაცამ საშინლად იფეთქა. ჩვენ „რეტვიზანს" მარცხენა ბორტის ბოლოში, სადაც სანაღმე აპარატები აწყვია, ნაღმი მოჰხვდა და გვერდი გაუნგრია. გემი გვერდზე გადაიხარა. ხელად „ცესარევიჩი" და „პალადა"-ც დაზიანეს... ამ უბედურ ღამეს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა კიდევ ოთხჯერ მაინც მოიტანეს ჩვენზე იერიში. 27 იანვარს დილით იაპონიის ესკადრაც მოვიდა და ზარბაზანი დაგვიშინა. ამ ბრძოლის დროს ჯავშნიანი გემები „პეტროპავლოვსკი" (31 მარტს დაღუპული), „სევასტოპოლი" და „პოლტავა" დაგვიზიანეს. „პეტროპავლოვსკ"-ს მარცხენა გვერდი სამის ფუტის სიგანეზე შეუნგრიეს; „პოლტავა" და „სევასტოპოლი" უფრო ცოტათი დაზიანდნენ. ეტყობა, იაპონელები მშვენივრად გვიმიზნებდნენ ზარბაზნებს: 40 წამში ამდენი გემი დაზიანეს. ჩვენს ახლო ბევრი დიდი ყუმბარა დაეცა. ერთი ახლო კლდეს მოჰხვდა და ჩვენი პალუბა ქვის ნამტვრევებით გაავსო. ერთი ყუმბარა ჩინელების პატარა სახლს მოჰხვდა და სულ მტვრად აქცია.

პორტ-არტურიდან ყველა ქალი დაითხოვეს; დღეს ყველანი რუსეთს წავიდნენ. გემზე რიგ-რიგად ვდარაჯობთ. 6 საათს მე ვდგევარ, 6 საათს ამხანაგი. ყოველ დღე თორმეტ-თორმეტ საათს სადარაჯო ხიდზე ვდგევართ, დანარჩენ დროს მეტ ნაწილად ვმუშავობთ. უფროსი სპეციალისტები გემის შეკეთებას უნდებიან. როგორღაც გამოურკვეველ გუნებაზე ვარ. სანამ ზარბაზანს გვესვრიან, ან საქმეს ვაკეთებ, კარგად ვარ, უსაქმოდ დავრჩები, თუ არა, მაშინვე ნერვები მეშლება. თუმცა საშინელი სიცივეა და ძლიერაც ვიღლებით, მაინც მადა არც ერთს არ გვივარგა ერთი ბეწო ხმაურობას რომ ყური მოვკრათ, მეტადრე საღამოთი, ან ღამით, მაშინვე ნაღმიან გემების იერიში, ან ზარბაზნების სროლა გველანდება. ბრძოლის შემდეგ მაჯა გავისინჯე. თითქო გულდინჯად ვიყავ, მაგრამ მაინც საშინლად მიცემდა: 1 წამში—105 ჯერ. ალბად, სხვებიც ასეთსავე გუნებაზე არიან.

3 თებერვალი. „რეტვიზანი"-ს მეზღვაურები მეტად შევწუხდით. ყოველ წამს ან იაპონიის ნაღმიან გემების იერიშს ველით, ან მთელის ესკადრის დაცემას. უკანასკნელ კვირაში მხოლოდ ორი ღამე გავატარეთ ცოტა მშვიდად, თორემ ყოველ ღამ ზარბაზნის სროლასა და ბრძოლაში ვატარებთ. ზოგიერთ ღამეს ორხელ-სამხელაც მოგვიხდა ზარბაზნის სროლა. ეგაა მხოლოდ ერთხელ დავაზიანეთ მტრის ნაღმიანი გემი, თორემ უფრო უბრალო ტივებსა და სხვა რაღაც შავ საგნებს ვესვროდით. საძაგელი ამინდია, ხან ჯანყია, ხან თოვლი მოდის. ქალაქსა, ნავთ-სადგურსა და ხომალდებსაც აღარ ანათებენ, ასე რომ მტრის ნაღმიან გემებს ბნელაში დავეძებთ. ისე ვართ მოღლილნი მუდმივ დარაჯობისაგან, რომ უბრალო ჩინური ნავიც კი ნაღმიან გემად გვეჩვენება და მაშინვე ყუმბარებს დავუშენთ ხოლმე

14 თებერვალი. ჩვენი „რეტვიზანი" დღესაც რეიდის შესავალში დგას. იაპონელები ყოველ ღამ მოდიან და ჩვენის გემის აფეთქებას ცდილობენ, მაგრამ ჯერ ვერას გახდნენ... ამ დღეებში საზარელი ღამე გავათენეთ. 11 თებერვალს 10 ნაღმიანი გემი და 4 ვეება სავაჭრო გემი დაგვეცნენ. უნდოდათ, ჩვენი გემიც და თავიანთ საკუთარი გემებიც აეფეთქებინათ და პორტ-არტური ჩაეკეტათ. საშინლად გვიკვირს იაპონელების თავგანწირულება: სიკვდილს ზიზღით უყურებენ და სულ არაფრად არ აგდებენ... ერთი გემი შესავლიდან ¼ კაბელტოვის (კაბელტოვი—85 საჟენია) მანძილზე ჩაიძირა. მეორე ნაპირ-ნაპირ მოგვეპარა და ვაქანებული ჩვენსკენ მოდიოდა. საბედნიეროდ ეს გემი „რეტვიზანიდან" 70 საჟენის მანძილზე ჩაიძირა. აქამდე ცეცხლი უკიდია და იწვის: ნახშირითა, ნავთითა და პიროქსილინით იყო გავსებული. 2 სხვა გემი კი შორს, რეიდის შესავლიდან 3 მილის მანძილზე გაირიყა. საშინელი საქმე ეწადათ იაპონელებს, მაგრამ ღმერთმა გვიბრალა. მთელი ღამე ზარბაზნებს ვისროდით. დილით რეიდზე რამდენიმე უაითხედის ნაღმი ვიპოვეთ. ჯერ-ჯერობით „რეტვიზანი" მარტოდ-მარტო ებრძვის აქტიურად იაპონელებს. დიდ გაჭირვებაში ვართ. იაპონელებს ჩვენი სრული განადგურება სწადიანთ!"

ახალი ამბავი

◆ 2 აპრილს, ღამე, ტფილისში, ბაზარნი ქუჩაზე თავ. ერისთავის სახლში შემდეგი **მკვლელობა მოხდა:** ამ სახლში კარგა ხანია სცხოვრობდა სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი ლაზარევი. მკვლელობა ამ ნაირად ჩაუდენიათ: მოკლული ყოფილა საწოლ ოთახში, სადაც სამზარეულოდან ღამე შეპარულა ბოროტ-განმზრახველი. შეიძლება, ამ დროს ლაზარევს ეძინა. ასე რომ ყოფილიყო. შებრძოლების დროს ადვილად შეეძლო ხმა მიეწვდინა მეზობლებისთვის. მკვლელს გრძელი გასანთლული თასმა წაუჭერია ყელში. შემდეგ მკვლელს თავისი მსხვერპლი გაუთრევია სასადილო ოთახში და იქ იატაკზე დაუგდია იმ აზრით, რომ ლაზარევს ყვირილი არ დაეწყო, მკვლელს ნახევრად დაგრეხილი ტილო პირში ჩაუჩრია, ხოლო მეორე ნახევარიც პირზედ გადაუჯვარებია. ეს ამბავი გუშინ დილითვე პოლიციამ აცნობა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს. 1 საათზედ მოკლულის სახლში შეიკრიბნენ ბრალმდებელის ამხანაგი, პოლიცმეისტრის თანაშემწე, გამომძიებელი და ექიმი. გუშინვე დაწვრილებით გასინჯეს სახლი მოკლულისა.

◆ 1897 წელს გამოცემულ სამხედრო ბეგრის წესდების მე-38 მუხლის ძალით, **სამხედრო სამსახურში** სამოქმედოდ გაწვეულ სათადარიგო და ოპოლჩენის ჯარის კაცებს უფლება აქვთ ითხოვონ, რომ იმათ სახლობებს შემწეობა დაენიშნოთ. ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა დაავალა მაზრის უფროსებს, განკარგულება მოახდინონ, რომ პოლიციის ბოქაულებმა და სოფლის მამასახლისებმა სამსახურში გაწვეულ ჯარისკაცთა თხოვნები მიღებისათანავე წარუდგინონ პოლიციის გამგეობებს და მომრიგებელ მოსამართლეებს. ამ უკანასკნელთ ეს თხოვნები უნდა აღნიშნონ წიგნებში და შემდეგ წარუდგინონ ქალაქის გამგეობათ და საგუბერნიო გამგეობების [illegible] ფილებას. მთხოვნელებმა უნდა წარმოადგინონ აგრეთვე მოწმობები იმისა, თუ რა შეძლებისანი არიან და საჭიროებენ თუ არა შემწეობას.

◆ დღეს, 4 აპრილისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის **ურთიერთ დამზღვევ საზოგადოებისა.** კრებამ უნდა განიხილოს ის საქმეები, რომელიც 21 მარტის კრებაზე განუხილველი დარჩა. სხვათა შორის, უნდა ამოარჩიონ გამგეობის თავმჯდომარე. კრება მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 10 საათზე.

◆ ბ-ნმა იაკობ ზუბალაშვილმა სააღდგომოთ ქალაქის მოურავს გადასცა 2000 მან. ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად. მოურავმა 200 მანეთი გადასცა ღარიბებისთვის დასარიგებლად ღამის თავშესაფართა გამგე კომისიას, ხოლო 300 მან.—იაფ სასადილოების კომიტეტს. რადგან საძნელოდ სცნეს იმის გამორკვევა, ვინ არის ნამდვილად ღარიბი და ვინ არა, მოურავმა დანარჩენი 1500 მან. ფონდად გადასცა იმ კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი უბნის ღარიბთა ს მზრუნველობისა. ბ-ნი ზუბალაშვილიც დასთანხმდა ამ აზრს.

◆ როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ, 25 მარტს ადგილის თაობაზე სოფელ სვეთში ჩხუბი მოსვლიათ ჭალის მცხოვრებ აზნაურს დენტორ აბაშიძესა და იმის დროებით ვალდებულ გლეხს ფილიმონ დავაძეს. დავაძეს თოფი უსვრია და მარცხენა ყბაში დაუჭრია. აბაშიძეს მიშველებიან და ისე უცემიათ დავაძისთვის, რომ იმისი მორჩენა საეჭვოა თურმე.

◆ ტფილისის ქალაქის ლომბარდს ქალაქისა ჰმართებს 16,754 მან. გუშინ ლომბარდის გამგემ გამგეობას წარუდგინა ამ ვალში 2,000 მან.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის-მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 207.** შინაარსი: „წყალი რასა მღეროდა". თ. რაზიკაშვილისა, სურათები ვიცე-ადმირალ სკრიდლოვისა, კონტრ-ადმირალის მოლლასისა, კონტრ-ადმირალის გრიგოროვიჩისა, მარშალ ნოძუსი, გენერალ ტაკაშიმასი, გენერალ ოკუმასი, ოთხი სურათი იაპონიის ცხოვრებიდან და ერთი კარიკატურა.

პრესის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

ჩვენ შევწყვიტეთ რუსეთის ჟურნალ-გაზეთების აზრის გადმოცემა, რადგან ბოლო ხანებში მაინცა და მაინც საყურადღებო

რომელსაც „კიტაის" ეძახიან მეორე სახელად. თავისებურად გაუგიათ ინგლისის და იაპონიის კავშირი... ძლიერ ეინტერესებოდა ყველას, თუ რამ გამოიწვია ომი. ყველა ბოლოს იმას მეკითხებოდა: როდის გათავდება, ან როგორ გათავდება ომიო? ვინც ხნიერი იყო, იგონებდა ყირიმისა და უკანასკნელს რუსეთ-ოსმალოს ომებს. ბევრიც რამ მიამბეს მაშინდელი დროის. ბევრად გამოიცვალა ხალხი მას აქეთ...

ასეთი ცნობის მოყვარეობაა სოფელში, ასე გამოფხიზლდა სოფელი და ეხლა პირველი საქმე ისაა, კარგი გონებრივი საზრდო მიეცეს მას. მაშინ მალე მოისპობა სოფელში ის ძალმომრეობა, ქურდობა, ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა, სხვა ათას-გვარი უსამართლობა, რომელიც გაბატონებულია დღეს იქ. მაშინ აღარ მოიწერებოდნენ სოფლიდან ისეთს ამბებს, როგორც იწერებიან, მაგალითად, დღეს ქიზიყიდან, რომ ქიზიყის სოფლელთა „ცხოვრება გამუდმებული ტანჯვაა, ვაება, ოფლის ღვრა, შრომა, გამრჯელობა და ნაცვლად ამისა გოდება, ვიში, გამწარებული სიცოცხლეო."

* *

ამისათვის საჭიროა სოფლისთვის სერიოზული მუშაკნი, გონიერი, განათლებული პირები, რომელთაც შეგნებულნი უნდა ჰქონდეთ თავისი მოვალეობა ხალხისადმი და პატიოსნად, დაუღალავად, თავგანწირულად უნდა ემსახურებოდნენ საქმეს, სოფლის განათლების საქმეს. ინტელიგენცია ვერაფერს ვერ გააკეთებს, თუ არ დაუახლოვდა ხალხს. არავითარი ახალი მოწინავე იდეა არ იბადება უბრალო ხალხში, რომელიმე დიდი აზრი ჯერ ვინმე დიდებულის ნიჭის ადამიანის თავში დაიბადება, მერე იგი გადადის სხვებში, ვრცელდება, მაგრამ მის განსახორციელებლად აუცილებლივ საჭიროა, რომ ხალხმა, რაც შეიძლება მეტმა ხალხმა მხარი დაუჭიროს მას. საანბანო ჭეშმარიტებაა, როს ყოველივე იდეა, საქმე კვდება, ჰქრება, თუ მას არ ასაზრდოვებს ხალხი. ნიჭიერი ადამიანები, გენიოსები არ დაიბადებიან და თუ დაიბადებიან, მალე მოკვდებიან იქ, სადაც ისინი წარმოადგენენ კასტას და განცალკევებული არიან ხალხისაგან. ერის აღორძინება მაშინ შეიძლება, მაშინაა მისის არსებობის საუკეთესო ხანა, როდესაც მის ინტელიგენციას და ხალხს ერთმანეთის ესმით, ერთმანეთს მისდევენ, ერთად მიდიან ორივენი.

სამწუხაროდ, ჩვენში ძალიან ცოტაა ასეთი შეგნებული ინტელიგენცია. ინტელიგენციას არ ჰქმნის მარტო გონებრივი განვითარება, განათლებული პირი ჯერ კიდევ როდია ინტელიგენტი; საჭიროა აუცილებლივ შეერთება და კავშირი ხალხთან და საერთო მოღვაწეობა და სამსახური სამშობლოსა და ერისათვის. ყველაზე უფრო ცოტაა ინტელიგენცია ჩვენს სოფელში. განათლებული პირები ცხოვრობენ სოფლებში, მაგრამ არ ემსახურებიან საზოგადო საქმეს. იშვიათად გაიგონებთ იმის ამბავს, რომ სოფლის განათლებულ პირს რამე საკეთილო და სასარგებლო მოექმედოს, იგი უფრო დროს ქეიფსა, ლაზღანდარობასა და კარტის თამაშში ატარებს. ჩვენს გაზეთებში უფრო ისეთს ამბებს იწერებიან, აი, როგორიც არის, მაგალითად, დიდ-ჯიხაიშიდან მოწერილი ამბავი: „არ იქნა და ვერაფრის გზით ვერ შეიგნეს ზოგიერთმა „ინტელიგენტებმა", რომ ტყუილა უსაქმო სიარული და ნარდბანქის თამაში, უმჯობესია რამე საქმეს მოჰკიდონ ხელი. აქ ბევრნი არიან იმისთანა ვაჟბატონები, რომელთაც არც ცოდნა და არც გარემოება ხელს არ უშლის ქვეყნის სასიკეთოდ, მაგრამ მაინც არაფერ საქმეს არ აკეთებენ; გამოდიან ბაზარში და დილიდან საღამომდის დასეირნობენ; თუ ვინმე მოთამაშე იშოვეს, მზად არიან მთელი დღე ითამაშონ. მათ რომ რამ საზოგადო საქმეზე ჩამოუგდონ ლაპარაკი, თუნდ წიგნისა ან გაზეთის გამოწერაზე, უარს გეტყვიან და უფულობას დაასახელებენ მიზეზად. ბანქოსა ნარდში კი ხშირად ხუთსა და ათს მანეთს აგებენ. ამას ჩადიან ჩვენში შეგნებულნი მაშინ, როცა სამკითხველო სულს ღაფავს და წევრთ საწევრო ფულის გადახდა ეძნელებათ. ზოგიერთი მოთამაშე ხშირად უკანასკნელ გროშსაც აგებს და ფულის საშოვნელად შემდეგ საშუალებას ხმარობს: ჩაჯდება მამა-პაპის დატოვებულ ადგილში და დარაჯობს, როგორც არწივი, ვისიმე საქონელი მოიგდოს ხელში, რომ საქონლის პატრონს ორი აბაზი, ან მეტი გადაახდევინოს. ამნაირის საშუალებით სათამაშო ფულს აგროვებს"...

* *

მოვიყვან მეორე მაგალითს ჩვენებურის „ინტელიგენციის" დასახასიათებლად. ვინმე კავთისხეველი „ინტელიგენტი" შემდეგ ნაირად მოგვითხრობს ერთს თავის თავგადასავალს. „გაზეთს ვკითხულობდით, ამბობს: ხალხი შემომეხვია, რადგანაც ომი აინტერესებდათ, და რამდენიმე კითხვა მომცეს. მეც ვუთხარი, რაც შემეძლო, გავაცანი მოკლედ ჩვენი ისტორია, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, მისი მტერ-მოყვრები. ღმერთმა უწყის, რომ ამაზე მეტი არა თქმულა-რა. მაგრამ ნახეთ ჩემი განცვიფრება და მასთან მეტიც შიში: ერთი გავლენიანი გლეხი შორი-ახლო ატუზულიყო ჩვენს უკან და რაღაცას ებუტბუტებოდა ორიოდე თავის მსგავს გლეხს. როცა ვკითხე მიზეზი მათის განცალკევებისა და ბუზღუნობისა, მითხრეს: ასე ამბობს, ეგ ლაპარაკი მთავრობის წინააღმდეგია და ახი იქნება, რომ ეგ ვაჟბატონი „პრისტავს" გავაცნოთო". —ამ ამბის მომწერი კორესპონდენტი (ალბათ, ეგეც ჩვენებური „ინტელიგენტია") თავის მხრით იწერება: „მე, ჩემის მხრით, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა არ იწყენს ამ გულწრფელსა და ფრიად სასარგებლო მუსაიფს გლეხებთან. განა მავნებელია გლეხმა იცოდეს, რომ მისი კეთილდღეობა ბევრად დამყარებულია სახელმწიფოს უმჯობეს ყოფა-ცხოვრებაზე, მის ძლიერებასა და მშვიდობიანობაზე? ნუ თუ მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი არასთვლის ამ საქმეს საჭიროდ?"..

სოფლის განათლებულმა პირმა აუხსნა გლეხს სხვა-და-სხვა საჭირბოროტო კითხვა, პასუხი მისცა მათ ზოგიერთ კითხვაზე,—კარგი და პატიოსანი. ეს ასეც უნდა იყოს. საყურადღებოა აქ სოფლის „ინტელიგენტის" შიში გავლენიანის გლეხის წინაშე და კორესპონდენტის განმარტებანი და თავის მართლება. თუ ასე შეშინდა ჩვენი „ინტელიგენტი", შემდეგში ხმასაც ვერ ამოიღებს, უეჭველია! მეტად გულუბრყვილო უნდა იყოს კორესპონდენტი, თუ ჰგონია, რომ მის თავისმართლებას რაიმე აზრი და მნიშვნელობა აქვს!..

ასეთია ჩვენებური ინტელიგენცია არამც თუ სოფლად, არამედ ქალაქადაც! ქალაქში კიდევ მეტს შეხვდები ადამიანი ისეთს განათლებულს პირებს, რომელნიც მთელს სიცოცხლეს კერძო მოღვაწეობასა, ქეიფსა და თამაშში ატარებენ, რომელნიც იმდენად გართულნი არიან ამგვარ საქმეებში, რომ მოსვენება არა აქვთ, არა აქვთ მოცლა სხვა რაიმე, საზოგადო საქმისათვის. ასეთია დიდი უმრავლესობა ჩვენებურ განათლებულთა, რომელთა შორის ზოგიერთებს თუ შესტკივათ გული საქვეყნო საქმისათვის, მაგრამ მათი გულმტკივნეულობაც გამოიხატება იმით, რომ სახე დაღვრემილნი თავს გაქნევენ და შემოგჩივლებენ: ჩვენი საქმე გლახად არის, ვიღუპებით! თუ მათ შორის გამოერევა ვინმე ისეთი, რომ საქმის გაკეთებას მოინდომებს, მალე ისეთი შიში შეიპყრობს, რომ საცოდავად ტირილს დაიწყებს.

ასეთი პირები ვერაფერს გააკეთებენ. ჩვენ გვჭირია დღეს მხნე, მომქმედი, ხალხის ამხანაგი ინტელიგენცია!

სიტყვა

არა იყო-რა. უმეტეს შემთხვევაში გაზეთები ჰბეჭდავდნენ და ჰბეჭდავენ საზოგადო ხასიათის პატრიოტულ წერილებს, რომელნიც საკვირველად წააგავენ ერთმანეთს და რომელნიც შინაარსის მხრივ მკითხველებისათვის საინტერესო არ არიან. ეხლახან გაზეთებმა დაჰბეჭდეს სხვა-და-სხვა უცხოელ გაზეთების აზრი და ჩვენც გვინდა ზოგიერთი მათგანი გავაცნოთ მკითხველთ.

მაგალითად, „ნოვ. ვრემია“-ში გადმოთარგმნილია საინტერესო წერილი, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა ინდოეთის გაზეთში „ამრიტა ბაზარ პატრიკა“. დიდათ საყურადღებოა გავიგოთ, რას ჰფიქრობენ აზიის სხვა-და-სხვა ერები და მათ შორის ინდოელები რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ,—იმ ომისა, რომელიც ასე ძლიერად ეხება აზიის ყველა ხალხებს. ინდოეთის ცნობილი ხსენებული გაზეთი, „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, თურმე ასე სჯის:

„აზიაში მხოლოდ ორი სახელმწიფო დარჩა დამოუკიდებელი: ავღანისტანი და იაპონია. ყველა დანარჩენი სახელმწიფო ან დაიპყრეს ევროპიელებმა ან არა და ნახევრად დამოუკიდებელნი არიან; ამათი ვითომ-და დამოუკიდებლობა იმით უნდა აგვხსნათ, რომ ევროპიელები ვერ შეთანხმებულან ჯერ იმის თაობაზე, თუ როგორ გაინაწილონ ეს სახელმწიფონი.

ევროპიელების ძალმომრეობის წინააღმდეგ თუ ვინმემ პროტესტი განაცხადა, ევროპიელები მაშინვე „ყვითელ საფრთხეზე“ ყვირიან. დიდ ხანს „ყვითელ საფრთხის“ სახელით მონათლული იყო ეკონომიური შიში: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ეშინოდათ ყვითელ კანიანების კონკურენციისა ეკონომიურს ასპარეზზე. მხოლოდ ბოლო ხანებში ევროპიელნი მიხვდნენ, რომ „ყვითელ საფრთხე“-ს პოლიტიკური ხასიათიც აქვს. ჩინეთის მამაც პატრიოტების—მოკრივეების მოქმედებამ აღმოაჩინა, რამდენად საშიშია ევროპიელებისათვის აზიის ხალხთა გაღვიძება. მაგრამ ჩინეთმა ვერ მოახერხა და ვერ განახორციელა თავისი განზრახვა: ევროპიელები მალე შეთანხმდნენ, თავს დაეცნენ ჩინეთს მრავალის ჯარებით, დაამცირეს ბოღდიხანი და ჩინეთი, რომელსაც საძაგელი ხელშეკრულობა დაასძალეს.

ბევრი ინდოელი გაჯავრებული იყო იმით, რომ მოკრივეთა წინააღმდეგ იაპონიაც ამხედრდა და ევროპიელთ გვერდს ამოუდგა. მაგრამ ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ 1900 წელს იაპონიის სრული სიმპატია ჩინეთის მხარეზე იყო; იაპონია იბრძოდა თავის სურვილის წინააღმდეგ და მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ევროპა არ ამხედრებულიყო მის წინააღმდეგაც. ეს ბრძნული პოლიტიკა იყო. მას შემდეგ იაპონია ემზადებოდა, ინგლისი გადიბირა და მარჯვე დროს რუსეთს ომი გამოუცხადა. ბევრი ინდოელი ეხლაც ჰკიცხავს იაპონიას და ამბობს: „იაპონელები აჩქარდნენ, ჯერ-ჯერობით არ უნდა შებრძოლებოდნენ ბუმბერაზს, უმჯობესი არ იქნებოდა, მოეთმინათ, ძალა შეეკრიბათ და უფრო მარჯვე დროს სხვა აზიელებთან ერთად ამხედრებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ?!“ მაგრამ ეს შემცდარი აზრია: გავლის ნახევარი წლიწადი და ურწმუნო ინდოელებიც დარწმუნდებიან, რომ იაპონიამ მშვენიერად მოისაზრა ყოველისფერი, კარგად გაითვალისწინა რამდენად სუსტია რუსეთი და რამდენად გაზვიადებულია მითქმა-მოთქმა მის ძლიერების შესახებ.

აზიაში მხოლოდ ორი სახელმწიფო დარჩა თავისუფალი; დანარჩენი ერები დამონავებულნი არიან და ნატრობენ ეროვნულ თავისუფლებას. იაპონიამ იკისრა აზიის ერთა განთავისუფლება ევროპიელების მძიმე უღლიდან და პირველმა გაჰბედა ბრძოლა; ამით იაპონელები დაგვიმტკიცებენ, რამდენად ყალბია აზიაში გავრცელებული რწმენა, ვითომ აზიელებს არ შეუძლიათ ევროპის დამარცხება.

ყველაფერს მომავალი გვაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში იაპონია ისტორიულადაც და ეთნოგრაფიულადაც ინდოეთის უმცროსი და არის. ამიტომაც ყოველი ინდოელი თანაუგრძნობს იაპონიას და გამარჯვება ჰსურს მისთვის.“

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აპრილი

პეტერბურგი. ომის გამო შემცირდა ყველა სარგებლიან ქაღალდების და მათ შორის გირავნობის ფურცლების მოთხოვნილება, ამიტომ მათი ფასი დაეცა. ამ გარემოებამ შეაფერხა სათავად აზნაურო და საგლეხო სახელმწიფო ბანკები, რომელთაც გაუჭირდათ გირავნობის ფურცლების გასაღება, რაიც ცუდს გავლენას იქონიებს ამ დაწესებულებათა ფინანსიურ მდგომარეობაზე. რადგან ამ ჟამად სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობა არის მთელი საკრედიტო ძალა ომის საჭიროებას მოანდომოს, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად დაავალა კომიტეტს, წარუდგინოს მის უდიდებულესობას პროექტი სათავად-აზნაურო და საგლეხო სახელმწიფო ბანკთა მოქმედების დროებით შემცირების შესახებ. ეს პროექტი უკვე წარდგენილ იქმნა და უმაღლესად დამტკიცდა კიდეც 26 ამა მარტს.

სეული („ვოლფ. სააგ.“). კორეის იმპერატორის სასახლე დაიწვა. დაიწვა სამკაულები და ძვირფასი ნივთები. ცეცხლი უნდა იყოს გაჩენილი იმის გამო, რომ ფეჩებს ძლიერ ახურებდნენ. იმპერატორმა თავი შეაფარა სასახლის ახლოს მდებარე ქვის სახლსა და გადარჩა.

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩმა განუცხადა რუზველტს რუსეთის მთავრობის სამძიმარი ამერიკის სამხედრო გემ „მისსური“-ზე მომხდარ უბედურებისა გამო; რუზველტმაც თავის მხრივ სამძიმარი გამოუცხადა იმ უბედურებისა გამო, რომელიც რუსეთს მოუვიდა ადმირალ მაკაროვისა და ჯავშნიან გემის „პეტრეპავლოვსკ“-ის დაღუპვით.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ინგლისელ სამხედრო აგენტების პატივის საცემლად გამართულ ნადიმზე გრაფმა ოკუმამ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დიდად შეაქო ადმირალ მაკაროვის სიმამაცე და საქმის ცოდნა და დიდი მწუხარება გამოსთქვა იმის სიკვდილის გამო.

პორტ-არტური. 2 აპრილი (საკუთარ კორესპონ.). დღეს დილის 8 საათზე გამოჩნდა მტრის პატარა ესკადრა, მაგრამ ჩქარა მიიმალა; 10 საათზე ისევ გამოჩნდნენ იაპონიის გემები და ორ რაზმად გაიყვნენ. ერთი რაზმი დადგა ლიაოტეშანს იქით და ნაპირებს და „ტიგროვის“ ნახევარ კუნძულს ზარბაზნები დაუშინა, ხოლო მეორე დადგა რეიდის პირდაპირ და ზარბაზნები დაუშინა „ზოლოტაია გორა“-სა და დანარჩენ ბატარეებს. ერთმა ყუმბარამ დააზიანა იაპონიის კრეისერი. სხვა ცნობებით, დაზიანებულ იქმნა იაპონიის ორი გემი. ციხესა და ქალაქს არავითარი ზიანი არ მოჰსვლიათ. სამი ჩინელი დასჭრეს და ორი რუსი; ერთი ჩინური სახლი დაანგრიეს.

ვლადივოსტოკი. საკომენდანტო მმართველობაში თათბირი მოახდინეს სასანიტარო საქმეებზე. დაადგინეს, ბეჯითი ღონისძიება მივიღოთ ქალაქის გასასუფთავებლად, ქუჩები და ეზოები გავსწმინდოთ და ნება-დაურთველად აშენებული ხის სახლები დავანგრიოთო. გენერალ ლინევიჩს აქ აპრილის დამდეგს მოელიან.

ბერლინი. „დეილი მეილ“-ის წარმომადგენელი დეპეშით იუწყება ხარბინიდან, აქ ყოველ დღე შვიდ-შვიდი მატარებელი მოდის და 4 ათასი ჯარის-კაცი მოჰყავთო. ლიაოიანიდან იალუმდე რკინის გზის აშენებას ბეჯითად განაგრძობენ. იმედი აქვთ, რომ ამ რკინის გზას რამდენისამე კვირის შემდეგ გაათავებენ.

ტოკიო. ამბობენ, სარწმუნოდ გაიგეს, რომ რუსეთს მანჯურიაში 200 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავსო. უმთავრესი ჯარი ლიაოიანს ახლო დგას; იალუს ჩრდილოეთ ნაპირზე კი მხოლოდ 10 ათასი კაცი დგასო.

ვაშინგტონი. („რეიტერის სააგ.“) რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, ყოველ გაზეთის კორესპონდენტს, რომელიც დეპეშას უმავთულო ტელეგრაფით გაჰგზავნის, ჯაშუშად ჩავთვლითო.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი გრაფი სტენბოკი გრენადერთა კორპუსის უფროსად დაინიშნა.—მინისტრთა კომიტეტის თანახმად ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად ბძანა, 1904 წ. 1 აპრილიდან რკინის გზებზე მგზავრებს რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებულ თითო შაურის მაგიერად ორ-ორი შაური გამოერთოთ. ომის გათავების შემდეგ კი მომატებული გადასახადი გაუქმდეს და მგზავრებს ისევ თითო შაური გადაჰხდეთო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

3 აპრილი

პორტ-არტური. 31 მარტს, დილით, დასაზვერავად გაგზავნილი იყო რვა ნაღმიანი გემი. ამათგან ორს გემს „სტრაშნი“-სა და „სმელის“ დაეწია და იერიში მიიტანა მტრის ექვსმა ნაღმიანმა გემმა. მტრის ნაღმიან გემებს შველოდა ექვსი დიდი გემი. ბრძოლის დროს დაიღუპა „სტრაშნი“. ნავთ-სადგურიდან გავიდა კრეისერი „ბაიან“-ი, შეებრძოლა მტერს და გადაარჩინა „სტრაშნი“-ს ხუთი მატროსი. კრეისერის დახმარებით ჩვენი ნაღმიანი გემები ნავთსადგურში დაბრუნდნენ. „ბაიან“-ს ნავთსადგურიდან გაჰყვნენ დანარჩენი გემები ესკადრისა და იერიში მიიტანეს მტერზე, რომელიც უკან იწევდა. იერიშიდან დაბრუნებისას „პეტრეპავლოვსკ“-ზე აფეთქება მოხდა და ორის წუთის შემდეგ ჩაიძირა კიდეც. გემზე 600 მატროსი იყო. ამათგან მხოლოდ 75 კაცი გადაარჩინეს. სხვათა შორის დაიღუპა ცნობილი მხატვარი ვერეშჩაგინი.

ლონდონი. შინაური საქმეები კორეისა უვარგისდება. ცეცხლმა გაანადგურა კორეის იმპერატორის სასახლე. აქაურ გაზეთების ცნობებით, ადმირალის მაკაროვის სიკვდილმა იაპონიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსვენებულის მამაცობას იაპონელები დიდის ქებით იხსენიებენ. სამხედრო სამინისტრომ ტოკიოში შესწყვიტა კორესპონდენტებისათვის ჯარში წასასვლელ ნებართვის მიცემა.

„დეილი ტელეგრაფ“-ში დაბეჭდილია წერილი ბრძოლის ველზე საქმის ვითარების შესახებ. წერილში ნათქვამია: საქმე უმთავრესად ეხლა ხმელეთზე ბრძოლაზეა დამოკიდებული. მთავარი როლი კუროპატკინს ეკუთვნის. უმჯობესია მოვერიდოთ საეჭვო წინასწარმეტყველობას, რადგან ნამდვილი ომი მხოლოდ ეხლა იწყებაო.

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩმა კასინმა განუცხადა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ რუსეთი ჯაშუშებად ჩასთვლის იმ კორესპონდენტებს, რომელნიც ბრძოლის ველზე უმავთულო ტელეგრაფით ისარგებლებენო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი.

სტამბოლი. გენერალი ჯიორჯიასი ხვალ სალონიკში მიდის. ხონთქარმა აუდიენციაზე არ მიიღო, მაგრამ მაინც შეუთვალა, გზას გილოცავთ და თქვენის საქმის წარმატება მსურსო.

ასმარა. ტელეგრაფის მავთული მასოვა-ასმარა-ადის-აბებას ლინიაზე დაამთავრეს.

3 აპრილს

პეტერბურგი. ყოველ საფუძველსა და სიმართლეს მოკლებულია „მორნინგ პოსტ“-ში მოთავსებული დეპეშა ვაშინგტონიდან, რომ შეერთებულ შტატებისა და ინგლისის მთავრობებს რუსეთის მთავრობისათვის მიემართათ იმ ხმების გამო, ვითომ სამხრეთ რუსეთში ემზადებიან ებრაელების ასაკლებადაო.

ბელგრადი. რუსეთის იმპერატორმა შესწირა 5 ათასი მანეთი ვრანის მცხოვრებთ, რომელნიც მიწის ძვრისაგან დაზარალდნენ.

სირაკუზი. იმპერატორი ვილჰელმი თავის ამალითურთ წავიდა ავგუსტას ნავთ-სადგურში.

სტამბოლი. უცხოელი ასისტენტები დიდის ამბით მიიღეს სალონიკში. ამათმა მისვლამ მცხოვრებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმედი აქვთ, რადგან ჟანდარმერიის რეორგანიზაცია დაიწყეს, ხანგრძლივი მშვიდობიანობა დამყარდებაო.

კურსკი. დიდი მთავარი სერგეი მიხეილის-ძე ბელგოროდს გაემგზავრა.

3 აპრილი

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). ჯიორჯიასი სალონიკში მიდის. იმისი თანაშემწეები და უცხოელი აფიცრები სალონიკში მივიდნენ. ხალხი თანაგრძნობით მიეგებათ, ამათ მუნდირმა და ქუდებმა ყველას ყურადღება მიიზიდა. ბევრი პოლიტიკური ტუსაღი გაანთავისუფლეს. რუსეთისა და ავსტრიის საელჩოები ცდილობენ საქმე ისე მოაწყონ, რომ უცხოელ აფიცრებს ჟამაგირი რიგზე ეძლეოდეთ. ბოლგარიის პრესა, თვით ოფიციალურიც კი, ერთხმად აღიარებს, რომ ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმებამ ცოტა სარგებლობა მოიტანაო. ოპოზიციის გაზეთები ჰკიცხავენ მთავრობას, შეერთებულ კომისიების სხვა-და სხვა დადგენილების შესრულება რად მიანდეთო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა
ვლ. ივ. ინაშვილი
მიიღებს შინაგანით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დღისით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—1)

სარკინისგზო სატეხნიკო სასწავლებელში შესასვლელ ეგზამენებისათვის ამზადებს მასწავლებელი, რომელსაც დასრულებული აქვს ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელი. მსურველთ კეთილ ინებონ და მიჰმართონ წერილობით (რომელზედაც დაუყოვნებლივ ეცნობებათ პირობები) 20 მაისამდინ ამ ადრესით: Манглисъ. Учителю ст—Манглиской школы И. С. В. ხოლო მას შემდეგ: Тифлисъ. Анчисхатская № 18 кв. 1 верхній этажъ. (3—118—2)



ევალდ იანკოვსკი
კაფელის ფეჩები, ღუმელები.
სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.
ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.
გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.
საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
(30—1) **ტელეფონი** № 281.

ოზურგეთში
ვყიდი ავადმყოფობის გამო მამულს თითქმის მეოთხედ ფასად: ორ სართულიან ქვიტკირის სახლს, თორმეტ დიდრონის ოთახით და 1700 ოთხკუთხი საჟენ მიწით. ჯანსაღი ადგილია შუა გულ ქალაქში საკუთარის მშვენიერ წყაროთი. მამული დაგირავებულია ქუთაისის ბანკში. ყოველისავე პირობის და ფასის შეტყობა შეიძლება თვით პატრონთან, ტფილისში, მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 27 გენ. ვახრომოვისა. ოზურგეთში—მოსე ღოლიძესთან. (3—210—3)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება 1904 წლის კალენდრები. ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—12). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვარცოვი ქუჩა.
მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა; ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.
პრეის-კურანტი მოთხოვნილებისთანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—13)

Доз. ценз. Тифлисъ 3 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.).